

ო ქ მ ი

V სემინარი

მრავალი მაგილების ციკლი –

„ენერგოსექტორი საზოგადოების ზედამხედველობის ქვეყნული“

ადგილობრივი თვითმართველობის როლი ქ. თბილისის ენერგეტიკის სექტორის განვითარებაში

თბილისი 18.2.2005

გუდიაშვილის 10, დიუმას ცენტრი

დღის წესრიგი

14:00 – 14:10	მონაწილეთა რეგისტრაცია
14:10 - 14:30	ინფორმაცია წინა შეხვედრის შესახებ მომხსენებელი, პროექტის მენეჯერი ლ. თავართქილაძე (სენი)
15:00 - 15:30	უცხოური გამოცდილება და დღევანდელი მდგომარეობა
15:45 - 17:00	მოსაზრებები, დისკუსიები და რეკომენდაციები, შეხვედრის შეჯამება

მონაწილეთა სია

№	სახელი	ორგანიზაცია	თანამდებობა
1.	ნოდარ კაპანაძე	ესმა ნუცუბიძე	-
2.	თამაზ ბაინდურაშვილი	ესმა ნუცუბიძე	-
3.	არჩილ ლიბრაძე	ესმა ნუცუბიძე	-
4.	ლელია თიგიშვილი	ესმა ნაძალადევი	-
5.	ლუბა პატარაია	ესმა ნაძალადევი	-
6.	რუსუდან ქსოვრელი	ესმა დიდუბე	-
7.	ნონა მიქაბერიძე	ესმა ვარკეთილი	-
8.	მზია სამადაშვილი	ესმა ვარკეთილი	-
9.	ლარისა სუხიშვილი	ესმა ავლაბარი	-
10.	დარეჯან ჯინჭარაძე	ესმა ავლაბარი	-
11.	გულიკო ივანიშვილი	ესმა ოქროსუბანი	-
12.	ნინო ჯიქიძე	ესმა ოქროსუბანი	-
13.	ნანა ჯანაშია	CENN	აღმასრულებელი დირექტორი
14.	ირინა ქიტიაშვილი	CENN	
15.	დავით კილურაძე	CENN	APM
16.	დავით გაბუნია	CENN	APM
17.	გოჩა ჩეკურიშვილი	CENN	APM
18.	გიორგი ჯაფარიძე	CENN	APM
19.	ლევან თავართქილაძე	CENN	Project Manager
20.	ოთარ გიორგობიანი	ქ. თბილისის მერია	
21.	ნანი მეფარიშვილი	ქ. თბილისის მერია	
22.	ზვიად არჩვაძე	სათმა	
23.	ვალერიან ჩახნაშვილი	ქ. თბილისის მერია	
24.	მარინა ბერიშვილი	ქ. თბილისის მერია	
25.	ნინო ამონაშვილი	თავისუფლების ინსტიტუტი	კოორდინატორი
26.	გიორგი ქაჯაია	“თბილგაზი”	სამეთ. საბჭოს თავმჯდომარე
27.	ლევან მურუსიძე	ს.ს. “თელასი”	საზ. ურთ. დეპარტამენტის კოორდინატორი
28.	ქეთევან მარჩილაშვილი	“ჩქერი”	

29.	გიორგი ძაძუკაშვილი	ფონდი "ადილის დედა"	
30.	გონა კაკაბაძე	ა/ორგანიზაცია "პატარა ქალაქი"	
31.	თამარ ნოსელიძე	სემეკი	საზ. ურთ. დეპარტამენტი
32.	პაატა შუბითიძე	სათემო "300 არაგველი"	
33.	გიორგი აბულაშვილი	ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო	
34.	ზვიად ვაშაკიძე	ს.ს "თელასი"	გაყიდვების დეპ. უფრ. მოადგილე

მრგვალი მაგიდების ციკლი –

„ენერგოსექტორი საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ“

თემა: ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ენერგეტიკული სექტორის განვითარებაში

საკითხები:

- თვითმმართველობის როლი ენერგეტიკის სექტორის განვითარებაში - უცხოური გამოცდილება;
- დღევანდელი მდგომარეობა;
- დისკუსია და რეკომენდაციები.

სემინარის ფასილიტატორი ლ. თავართქილაძე, “სენი”.

მრგვალ მაგიდას ესწრებოდა 34 ადამიანი, მათ შორის “ესმა-ების” ყველა წარმომადგენელი.

14:10

ფასილიტატორმა მრგვალი მაგიდის მონაწილეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი და საკითხების განხილვის პროცედურული თანამიმდევრობა. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ შეხვედრის პირველი ნაწილი დაეთმობოდა თვითმმართველობის სფეროში უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების და თბილისში ან მხრივ არსებული მდგომარეობის საკითხს, შემდეგ მონაწილეებს მიცემოდათ აზრის გამოთქმის და დისკუსიის გამართვის საშუალება.

ფასილიტატორმა მრგვალი მაგიდის მონაწილეებს გააცნო უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება ენერგეტიკის სფეროში მუნიციპალიტეტის როლისა და მოვალეობების შესახებ. პრეზენტაციის მსვლელობისას გ. ძამუკაშვილმა (ფონდი “ადგილის დედა”) გამოთქვა მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ რიგითი მოქალაქეებისათვის უმჯობესი იქნებოდა ენერგეტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიემართათ ქალაქის მუნიციპალიტეტისთვის, მით უმეტეს, რომ კერძო დისტრიბუტორ კომპანიასთან (თელასთან – გ.ჯ.) კომუნიკაცია ძალიან რთულია. რეპლიკამ თელასის წარმომადგენელთა უკმაყოფილება გამოიწვია, ისინი შეეცადნენ მონაწილეთათვის აეხსნათ, თუ რა არის მიზეზი მსგავსი განცხადებებისა. ლ. მურუსიძის (თელასი) მოსაზრებით, დენის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში, თელასის შესაბამისი სამსახურის ტელეფონებზე რეკავს უამრავი ადამიანი, ნაწილი ვერ ახერხებს დაკავშირებას, ამის გამო ყალიბდება აზრი, რომ თელასი თავს არიდებს აბონენტებთან ურთიერთობას, რაც საერთოდ არ შეესაბამება სიმართლეს. მურუსიძის განცხადებით, ასევე არ შეიძლება მთლიანად ქვეყნის და დედაქალაქის ენერგეტიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, ენერგეტიკა არის მთლიანი სტრუქტურა და იგი რაიმენაირად გაყოფილი არ არის.

დარბაზის პოლემიკა შეეხო გრაფიკს, რაც ბოლო დროს შეიმჩნევა თბილისში. გარეუბანში მაცხოვრებელი ზოგიერთი მონაწილის აზრით, სასურველი იქნებოდა თელასს შემოეღო გრაფიკი და მოსახლეობისათვის წინასწარ ეცნობებინა ამის შესახებ.

თელასის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ არანაირ გრაფიკს თბილისში ადგილი აქვს, უბრალოდ, თელასი ვალდებულია დაემორჩილოს სადისპეტჩეროს მოთხოვნას ელექტროენერჯის მიწოდების შეზღუდვის შესახებ.

ამის შემდგომ მრგვალი მაგიდის მონაწილეები დაუბრუნდნენ შეხვედრის თემას, ზ. არჩვაძემ (სათმა) დასვა საკითხი თვითმმართველობის სფეროში უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების უფრო დაწვრილებით გაცნობის შესახებ. მისი მოსაზრებით, საქართველოში საკმაოდ სერიოზული საკანონმდებლო ხარვეზებია ამ სფეროში, ასევე, განსასაზღვრია კომპეტენციები, მომხმარებლის საჭიროებები და მოლოდინები, ის თუ რა სჭირდება ნორმალური ფუნქციონირებისათვის ოპერატორ კომპანიას (თელასს – გ.ჯ.).

მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა ო. გიორგობიანმა ა. არჩვაძის განცხადების პასუხად მრგვალი მაგიდის მონაწილეებს განუმარტა, თუ რა მდგომარეობაში აყენებს ენერგეტიკის მუნიციპალურ სამსახურს ქვეყნის ენერგეტიკის მძიმე მდგომარეობაში ყოფნა. გიორგობიანის განცხადებით, მუნიციპალიტეტის სამსახური მოხარული იქნებოდა მიეღო ინიციატივები მოსახლეობისგან. მათთვის ასევე მნიშვნელოვანია თელასის, როგორც გამანაწილებელი კომპანიის, სურვილები, მოსაზრებები.

მერიის მუნიციპალური სამსახურის წარმომადგენელის გამოსვლის შემდეგ მრგვალი მაგიდის მონაწილეებს მიმართა “თბილგაზის” წარმომადგენელმა გ. ქაჯაიამ. მისი განცხადებით, “თბილგაზის” სისტემის ქსელი საერთო სიგრძე 1980კმ-ს შეადგენს, აქედან მოქმედია 1200კმ. ქსელი ტექნიკური მდგომარეობა მძიმეა, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება მივიდეს თელასში და დარწმუნდეს ამაში. ასევე რთულ ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს ორგანიზაციას გაზის მოსახლეობის მიერ მოპარვის ფაქტი, დანაკარგი უხეში გათვლებით 20 მლნ. ლარამდეა 6 თვეში, ნორმალური გადახდისა და არ მოპარვის შემთხვევაში ამოღება ყოველთვიურად 11 მლნ. ლარი უნდა იყოს. გამოსავალი შესაძლოა კორპუსის საერთო მრიცხველის დამონტაჟება იყოს, რაც დამატებით ბარიერს შექმნიდა გაზის დატაცების წინააღმდეგ.

“ესმა“-თა წევრების დაინტერესება გამოიწვია კორპუსის საერთო მრიცხველის დამონტაჟების საკითხმა, როგორ განვითარდება მოვლენები თუ საერთო მრიცხველის ჩვენება არ დაემთხვევა კორპუსის მაცხოვრებელთა ჯამურ ჩვენებას. გ. ქაჯაიამ გამნარტა, რომ გაზის დატაცების ეჭვის არსებობის შემთხვევაში ილუქება მომხმარებლის მრიცხველი და მოწმდება ბინაში დამონტაჟებული გაზის დანადგარები. ჯარიმის არ გადახდის შემთხვევაში ილუქება მოსახლის გაზის მილი, ლუქის დაზიანების შემთხვევაში მოქალაქე ჯარიმდება 600 ლარით.

“ესმა“-თა წევრების დაინტერესება შეეხო გაზის გადასახადის ამოღების საკითხსაც. მათი განცხადებით, 2004 წლის აგვისტოში გადასახადის ამოღება შეადგენდა 64%-ს, დეკემბერში 12%-ს. ვინ ფარავს განსხვავებას, ხომ არ ხდება ეს შეგნებულად “თბილგაზის” საბოლოოდ გასაკოტრებლად და, შემდგომში, გასაყიდად.

“თბილგაზის” წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამის შესახებ რაიმე კომენტარის გაკეთების უფლებამოსილება მას არ გააჩნია.

შესვენების შემდგომ მრგვალი მაგიდის მონაწილეები ჩაებნენ დისკუსიაში მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ. დ. ჯინჭარაძემ (“ესმა”, ავლაბარი) განაცხადა, რომ მოსახლეობას ძალიან აწუხებს გამორთვის ფაქტების, რაც ძალიან გახშირდა ბოლო დროს. მან თელასის წარმომადგენლებს თხოვა აღნიშნული საკითხით დაინტერესება.

გ. ძამუკაშვილის (ფონდი “ადგილის დედა”) მოსაზრებით, კარგი იქნებოდა შუამავალი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ითანამშრომლებს მუნიციპალიტეტთან, თელასთან, სხვა სახელმწიფო უწყებებთან. ასეთი ტიპის ორგანიზაცია იქნებოდა მოსახლეობის ინტერესების გამხმომავანი და დამცველი. ი. ქიტიაშვილმა (“სენი”) განმარტა, რომ უახლოეს მომავალში მოხდება “ესმა”-თა დარეგისტრირება, განისაზღვრება მათი კომპეტენცია და სწორედ ეს ადამიანები შეასრულებენ სახელმწიფოს, კერძო სტრუქტურებსა და მოსახლეობას შორის შუამავლის ფუნქციას.

სემინარის ყველა მონაწილე ერთსულოვანი იყო იმაში, რომ სწორედ მერიის მუნიციპალურმა სამსახურმა უნდა იტვირთოს ენერგოპოლიტიკის შემუშავება. თელასი და სხვა გამანაწილებელი კომპანიები უნდა მისდევდნენ ამ პოლიტიკას. ასევე ძალიან სასურველი და მნიშვნელოვანია ენერგოპოლიტიკის შემუშავებაში “მთელი ქალაქის” მონაწილეობა, რაც გაზრდის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას და სისტემის მართვის ეფექტურობას.

სემინარის ბოლოს მონაწილეებს დაურიგდათ ‘ელექტროენერჯის მომხმარებლის სახელმძღვანელო’.

mrgval i magidi s dros wamoWri l i saki Txebi s mokl e anotacia

- ❖ მუნიციპალიტეტის ენერგეტიკული სამსახური მზადაა “ესმა”-ბთან სათანამშრომლოდ; გარდა ამისა ქალაქის მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი ვებ-გვერდი, რომლის მისამართია www.tbilisi.org.ge
- ❖ მუნიციპალიტეტის ენერგეტიკის სამსახურმა უნდა იზრუნოს ქ. თბილისის ენერგეტიკული პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც რა თქმა უნდა კავშირში იქნება ყვეანის ენერგეტიკულ პოლიტიკასთან
- ❖ მუნიციპალიტეტის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული პროგრამის დაფინანსება უნდა მოხდეს იმ პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, რომელიც მუნიციპალიტეტმა 2004 წლიდან დაიწყო
- ❖ მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება უნდა მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით და ცნობილი უნდა გახდეს ფართო საზოგადოებისათვის
- ❖ აუცილებელია დაიხვეწოს და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს მუნიციპალური ენერგეტიკის სამსახურის მანდატი
- ❖ ასევე აუცილებელია მუნიციპალიტეტის ენერგეტიკის სამსახური ფლობდეს ინფორმაციას და გააჩნდეს შესაძლებლობა ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის